

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატის კახაბერ გობრონიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი არჩევნების შედეგად, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო ბლოკიდან, არჩეული ვარ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულიდან. შექმნის დღიდან ვარ ორი კომისიის წევრი, ესენია: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის, აგრეთვე აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების წევრი.

მონაწილეობა მივიღე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში და აგრეთვე კომისიის მიერ ჩატარებულ სხდომებში, რომლის მიმდინარეობისას მიიღებოდა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. არაოფიციალური შეხვედრების გარდა მაქვს ჩატარებული ამომრჩევლებთან გეგმიური შეხვედრა და მიღება, რეგლამენტის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობით.

თავდაპირველად გაგაცნობთ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტების, შესრულებული სამუშაოების და ასევე მოსახლეობისთვის გაწეული დახმარებების ჩამონათვალს:

1. 2014 წლის 24-29 სექტემბრის სტიქიის დროს მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ ცენტრალური ხელისუფლების მიერ ლიხაურის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოიყო 386696ლარი.
2. სტიქიის შედეგად დაზარალებულ 37 ოჯახს გაეწია დახმარება, კერძოდ სახურავისთვის განკუთვნილი მოთუთიებული თუნუქის მასალა 704 ცალი, შიფერი 128 ცალი, ასევე ხის მასალა, ცემენტი, ბეტონის ბლოკი. ამასთანავე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით და მხარდაჭერით ყოფილი „საყვავილე მეურნეობის“ საერთო საცხოვრებლის ორ კორპუსსი სრულად მოხდა სახურავის შეცვლა. ყოფილი ჩაის ფაბრიკის ერთ-ერთი კორპუსისთვის გადაცემულ იქნა თუნუქის სახურავის მასალა. 2016წლისთვის იგეგმება ამ კორპუსის სახურავის სრული რეაბილიტაცია.
3. ციხესიმაგრის მიმდებარედ მოეწყო 350მ. ბეტონის გზა, რისთვისაც დაიხარჯა 47965ლარი.
4. ხორციელდება 2014 წლის წყალდიდობის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი სამუშაოები, კერძოდ გაბიონის მოწყობა.
5. დახმარება გაეწია 182 ბენეფიციარს, დახმარების თანხამ შეადგინა 25769ლარი.
6. 2014 წლის სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით მთლიანი თანხა, 66854ლარი, მოხმარდა საბავშვო ბაღის რემონტს.
7. 2015 წლის სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ჩამორიცხული თანხა, 66854ლარი, მოხმარდა:
 - ა) ლიხაურის წყალი, ნიაბაურის უბანში სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციას, 400მ. მილის მონტაჟი. რის შედეგადაც 9 ოჯახი უზრუნველყოფილია წყლით.
 - ბ) ამბულატორიის და კულტურის სახლის სახურავების შეკეთება.

გ) ნიაბაურის უბანში გზის რეაბილიტაცია.

დ) ჩოლოქის საყანე ფართობებთან მისასვლელი 3,5 კმ. გზის კაპიტალური შეკეთება. ასევე მოეწყო ქუჩის გარე განათება.

სოფელში ხშირად იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო სპორტული

ღონისძიებები. 2014-2015 წლებში, შემოდგომაზე ტრადიციად დამკვიდრდა მამტაბური სახალხო დრესასწაული „ექვთიმობა“, რომელიც იმართება ადგილობრივი თვითმართველობის დაფინანსებითა და ხელშეწყობით. 2015 წლის „ექვთიმობის“ დღესასწაულზე კიდევ ერთ ახალ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, დასახელდა 4 საპატიო და ღვაწლმოსილი ღიბაურელი, ესენი არიან: სიმონ ბებურიშვილი, ნინო ნიშნიანიძე, მალვინა თოიძე და ედიშერ ჭელიძე. იმედია ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება. სოფელი არ ივიწყებს საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულ გმირებს და ყოველწლიურად იმართება 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც იმართება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის თანადგომითა და მხარდაჭერით.

ღიბაურის საჯარო სკოლის ბაზაზე მოქმედებს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ალექსანდრე ბოლქვაძე, მისი დამსახურებით სოფელს ყავს არაერთგზის საერთაშორისო ტურნირის და საქართველოს პრიზიორები და მრავალგზის ჩემპიონები, განსაკუთრებით გამოირჩევა ლევან ქავჯარაძე.

ღიბაურის თემში არსებული საჯარო ბიბლიოთეკა „ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის“ მუზეუმთან და საჯარო სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად ხშირად მართავენ ზოგად-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, იმართება ღია კარის დღეები.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილისა სოფელში არის გადასაჭრელი პრობლემები, განსაკუთრებით გამოვყოფდი წყლის სათავე-ნაგებობის და მთლიანად ქსელის პრობლემას. მიუხედავად იმისა რომ სოფლის 90% გაზიფიცირებულია, 82 ოჯახისთვის ბუნებრივი აირით სარგებლობა მიუწვდომელია, ამისთვის საჭიროა 5000მ. გაზისთვის განკუთვნილი მაგისტრალის მოწყობა. მიუხედავად შიდა გზებზე ჩატარებული დიდი სამუშაოებისა არის უბნები სადაც მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები და გზები, რომელსაც მაქსიმალურად მოკლე ვადებში შევაკეთებთ.

2016 წლისთვის სოფელში დაგეგმილია სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კერძოდ სოფლის ცენტრში არსებული ამორტიზირებული სარწყავი არხების, სათავე-ნაგებობის სრული რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება შეადგენს 180000ლარს. იგეგმება სოფლის ორი დიდი უბნის დამაკავშირებელი ხიდის

(ნიაბაური-ოქროსმუხუროს) კაპიტალური შეკეთება. ასევე იგეგმება ციხესიმაგრის მიმდებარედ დარჩენილი 150მ. ბეტონის გზის დასრულება და მოქმედ სასაფლაოებთან მისასვლელი გზების ბეტონით მოწყობა.

2016 წელს სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი თანხა დამატებით კიდევ ბევრ, სოფლის მოსახლეობის მიერ დასახელებულ პრიორიტეტებს მოაგვარებს.

მე და მთელი საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობით კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეებს გავაკეთებთ მოსახლეობის

სასიკეთოდ. მე მუდამ მზად ვარ ვიდგე ჩემი მოსახლეობის გვერდით, გავიზიარო მათი პრობლემები და შეძლებისდაგვარად დავეხმარო მათ მოგვარებაში.